ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მიერ 2024 წელს გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად 2024 წლის განმავლობაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 14 განცხადება.

შემოსული განცხადებები სრულად დაკმაყოფილდა, რაზედაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

საჯარო ინფორმაცია გაცემულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე 11 და მოქალაქეზე 3.

2024 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დახურული სხდომა არ ჩატარებულა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.